

ესპანეთის მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის მიმოხილვა¹

1. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები
2. დისციპლინური სახდელები
3. დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოები
4. დისციპლინური პროცესი

2015 წელი

¹ შედგენილია სადისციპლინო კოლეგიის ყოფილი წევრის - კახა წიქარიშვილის მიერ.

1. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები

ესპანური კანონმდებლობა გამოირჩევა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების დეტალიზაციით. დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალი გადმოცემულია "სასამართლო ხელისუფლების შესახებ" ესპანეთის 1985 წლის ორგანულ კანონის 417-419-ე მუხლებში. ამ კანონის 416-ე მუხლით მოსამართლეებისა და მაგისტრატების მიერ ჩადენილი გადაცდომები იყოფა 3 კატეგორიად: განსაკუთრებით მძიმე, მძიმე ან მსუბუქ გადაცდომებად. კანონის 417-419-ე მუხლების ფორმულირება ასეთია:

მუხლი 417

ა. განსაკუთრებით მძიმე გადაცდომას წარმოადგენს:

1. კანონის 5.1 მუხლით დადგენილი კონსტიტუციისადმი ერთგულების ვალდებულების დარღვევა, რომელიც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით;²
2. პოლიტიკური გაერთიანების ან პარტიის წევრობა, ან თანამდებობის დაკავება ან პოლიტიკური პარტიისთვის სამსახურის გაწევა;
3. სასამართლო უფლებამოსილების განხორციელების გარდა რაიმე სხვა საფუძვლით ადგილობრივ ორგანოებთან სერიოზული კონფლიქტის განმეორებითი პროვოცირება იმ ოლქში, სადაც მოსამართლე ახორციელებს უფლებამოსილებას;
4. ბრძანებით ან ნებისმიერი ზეწოლით სხვა მოსამართლის ან მაგისტრატის სასამართლო საქმიანობაში ჩარევა;
5. განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი მოქმედება ან უმოქმედობა, რამაც გამოიწვია სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამოქალაქო პასუხისმგებლობა ამ კანონის 411-ე მუხლის შესაბამისად;
6. ამ კანონის 389-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ შეესაბამება მოსამართლის ან მაგისტრატის თანამდებობას, გარდა იმ ქმედებებისა, რომლებიც წარმოადგენენ 418 -ე მუხლით გათვალისწინებულ მძიმე გადაცდომას;³
7. სასამართლოებში და ტრიბუნალებში საკუთარი დანიშვნის ხელშეწყობა, როდესაც ეს წარმოშობს ამ კანონის 391⁴ და 393-ე მუხლით გათვალისწინებულ შეუსაბამობებს ან არღვევს

² კანონის 5.1 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია განმარტოს კანონი და გამოიყენოს კანონი კონსტიტუციის პრინციპების და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად;

³ 389-ე მუხლის თანახმად, მოსამართლის საქმიანობა შეუთავსებელია:

1. სხვა რაიმე იურისდიქციის განხორციელებასთან, რომელიც არ უკავშირდება სასამართლოს;
2. სახალხოდ არჩეულ ნებისმიერ თანამდებობასთან სახელმწიფოს, ავტონომიური ოლქების ან სხვა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ან ინსტიტუტების დონეზე, ან მათზე დამოკიდებულ სხვა ორგანოებში ან დაწესებულებებში;
3. სახელმწიფო ორგანოების, პარლამენტის, სამეფო ოჯახის, ავტონომიური ოლქების, პროვინციების, მუნიციპალური ოლქების ან ორგანიზაციების მიერ ანაზღაურებად სამსახურთან;
4. ნებისმიერ სხვა სამსახურთან ნებისმიერი იურისდიქციის სხვა სასამართლოებში ან ტრიბუნალებში;
5. ნებისმიერ ანაზღაურებად სამუშაოსთან, სამსახურსა ან მომსახურებასთან გარდა პედაგოგიკური, სამეცნიერო კვლევის, ლიტერატურული, შემოქმედებითი ან მეცნიერული საქმიანობისა, კანონით დადგენილ ფარგლებში, საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა შეუთავსებლობების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად;
6. საადვოკატო ან საპროკურორო საქმიანობასთან;
7. ნებისმიერი ტიპის ანაზღაურებად თუ არა ანაზღაურებად იურიდიულ კონსულტაციასთან;
8. ნებისმიერ კომერციულ საქმიანობასთან, რომელიც მიმართულია პირადი მიზნით ან სხვის სასარგებლოდ;
9. დირექტორის, მენეჯერის, ადმინისტრატორის, გამგეობის, კოლექტიური პარტნიორის ან ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან, რომელიც გულისხმობს პირდაპირ ადმინისტრაციულ ან ფინანსურ მონაწილეობას კერძო თუ საჯარო კომპანიებში და ბიზნესებში.

ამ მუხლებით დადგენილ აკრძალვებს, ან ამ ორგანოებში უფლებამოსილების განხორციელება, სასამართლოს გენერალური საბჭოსათვის 394-ე მუხლში გათვალისწინებული იმ გარემოებების შეუტყობინებლად, რომლებიც უკავშირდებიან იძულებით მივლინებას;⁵

8. საქმის თვითაცილების ვალდებულების შეუსრულებლობა, იმის შეცნობით, რომ სახეზეა კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი;
9. უგულისყურობა ან გაუმართლებელი და განმეორებითი დაგვიანება პროცედურებისა და საქმეების დაწყების, განხორციელების და გადაწყვეტისას, ან მოსამართლის სხვა უფლებამოსილების განხორციელებისას;
10. სამსახურის მიტოვება ან არასაპატიო მიზეზით და განგრძობითად 7 ან მეტი კალენდარული დღის განმავლობაში იმ სასამართლოში გამოუცხადებლობა, სადაც მოსამართლე ახორციელებს უფლებამოსილებას;
11. ცრუ ინფორმაციის მიწოდება შვებულების თაობაზე განცხადებებში, ნებართვებში, შესაბამისობის ხარჯებისა და ფინანსური დახმარების შესახებ დეკლარაციებში;
12. მოსამართლის ან მაგისტრატის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მოპოვებული ფაქტებისა და ინფორმაციის გახმაურება, რამაც ზიანი მიაყენა საქმისწარმოებას ან კონკრეტულ პირს;
13. მოსამართლის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ხელისუფლების ორგანოების, მოხელეთა ან სხვადასხვა პროფესიების წარმომადგენელთა მხრიდან შეღავათიანი მოპყრობის მოსაპოვებლად;
14. სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას უპატიებელი უცოდინრობა;
15. სასამართლო გადაწყვეტილებებში აუცილებელი მოტივაციის აბსოლუტური და აშკარა არ არსებობა, რაც დადასტურებულია სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით. თუ დასაბუთების არმქონე გადაწყვეტილება არ საჩივრდება, აუცილებელია არსებობდეს სამართალწარმოებაში მონაწილე პირის საჩივარი;
16. მძიმე გადაცდომის ჩადენა იმ მოსამართლის ან მაგისტრატის მიერ, რომელსაც უკვე დაეკისრა სახდელი ორი სხვა მძიმე გადაცდომის ჩადენისათვის, ისე რომ შესაბამისი ბრძანებები არ ყოფილა გაუქმებული ამ კანონის 427-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 418

ბ. მძიმე გადაცდომას წარმოადგენს:

1. სამოსამართლო იერარქიაში ზემდგომის უპატივცემლობა მათი თანდასწრებით ან მათდამი მიმართული კომუნიკაციით, საჯაროდ.
2. სხვა მოსამართლის ან მაგისტრატის სამოსამართლო საქმიანობაში ჩარევა, ნებისმიერი რეკომენდაციის სახით;

⁴ კანონის 391- 393-ე მუხლები ადგენს, რომ მოსამართლეს არ აქვს უფლება იმუშაოს სასამართლოში ან პალატაში, სადაც მოსამართლის, პროკურორის ან ადვოკატის სახით დასაქმებულია მასთან ქორწინებაში ან მსგავს სამოქალაქო კავშირში ან ახლო ნათესაურ კავშირში მყოფი პირი;

⁵ 394-ე მუხლის თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს მაგისტრატის იძულებითი მივლინება სხვა სასამართლოში;

3. სხვა ოფიციალური უწყებების, ხელისუფლების ორგანოების ან საჯარო მოსამსახურეთა ან კორპორაციების შექება ან გაკრიტიკება მათი ქმედებებისათვის საკუთარი სამოსამართლო სტატუსის მოხსენიებით ან გამოყენებით;
4. ქვემდგომი ინსტანციების მიერ მოქმედი ნორმების გამოყენების ან განმარტების შესწორება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი ახორციელებენ საკუთარ უფლებამოსილებას.
5. უფლებამოსილების გადამეტება ან ბოროტად გამოყენება, ან მოქალაქეების, ინსტიტუტების, მდივნების, ექსპერტების ან მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში მონაწილე პერსონალის, პროკურატურის, ადვოკატების ან პროკურორების, სოციალური მუშაკებისა და სასამართლო პოლიციის მოხელეთა უპატივცემლობა;
6. იურიდიული დასაბუთების თვალსაზრისით, სასამართლო გადაწყვეტილებებში უსარგებლო ან უადგილო, უგნური ან აშკარად შეურაცხმყოფელი ან უპატივცემულო გამოთქმების გამოყენება;
7. სასამართლო კლერკების ან დამხმარე პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის არ დაყენება, როდესაც მოსამართლისთვის ცნობილია ან ცნობილი უნდა იყოს ამ პერსონალის მიერ მოვალეობათა შეუსრულებლობა;
8. სასამართლო ინფორმაციის გაცემისთვის დადგენილი ფორმების დარღვევით მოპოვებული ფაქტების და ინფორმაციის გახმაურება, როდესაც ეს არ არის განსაკუთრებით მძიმე გადაცდომა ამ კანონის 417-ე მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად;
9. სამსახურის მიტოვება ან სამსახურში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა ზედიზედ 3-დან 7 კალენდარულ დღემდე ვადით;
10. სხდომათა გრაფიკის არასაპატიო და სისტემატური დარღვევა და საჯარო ხასიათის საპროცესო მოქმედებებზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადება, თუ აღნიშნული არ წარმოადგენს განსაკუთრებით მძიმე გადაცდომას;
11. საპროცესო მოქმედებების, საქმეების დაწყების ან წარმართვის გაჭიანურება არასაპატიო მიზეზით, თუ აღნიშნული არ წარმოადგენს განსაკუთრებით მძიმე გადაცდომას;
12. სასამართლოს გენერალური საბჭოს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ეროვნული სასამართლოს, უმაღლესი სასამართლოს ან პალატების მიერ დაკისრებული მოთხოვნების შეუსრულებლობა ან უპატივცემლობა, ან ამ ორგანოთა ინსპექციის საქმიანობისათვის ხელის შეშლა;
13. ამ კანონის 317-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში წარმოებაში არსებული საქმეების სიის შეუდგენლობა;⁶
14. ამ კანონის 3890-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი ნებისმიერი შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება შესაბამისი ნებართვის გარეშე ან ამ ნებართვის მოპოვებით ფაქტების დამალვის საფუძველზე;
15. საქმის თვითაცილება შესაბამისი საფუძვლის გარეშე, რაც დადასტურდა შესაბამისი პალატის გადაწყვეტილებით;

⁶ ამ მუხლის მიხედვით, პალატის და კოლეგიის თავმჯდომარეები უფლებამოსილების შეწყვეტის ან სხვა სამსახურში გადასვლისას ადგენენ მათ წარმოებაში არსებული საქმეების სიას შემოსვლის თარიღის მითითებით და გადასცემენ სასამართლოს თავმჯდომარეს.

16. გადაწყვეტილებათა მიღება პროცედურების ბოროტად გამოყენებით, რაც იწვევს სამუშაოს ოდენობის ფიქტიურ გაზრდას გენერალური საბჭოს მიერ შემუშავებული კალკულაციის სისტემის შესაბამისად;
17. ინსპექციის სამუშაოსთვის ხელის შეშლა;
18. მსუბუქი გადაცდომის ჩადენა იმ მოსამართლის მიერ, რომელსაც საბოლოო გადაწყვეტილებით ადრე დაეკისრა სახდელი ორი მსუბუქი გადაცდომისთვის, რომლებიც ჯერ არ არის გაქარწყლებული, ან რომლებზეც არ არის დაწყებული გაქარწყლების პროცედურები 427-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 419

გ. მსუბუქ გადაცდომას წარმოადენს:

1. იერარქიის მაღალ საფეხურზე მდგომი კოლეგების უპატივცემლობა, თუ სახეზე არ არის მძიმე გადაცდომის ელემენტები;
2. იერარქიის იმავე ან დაბალ საფეხურზე მდგომი კოლეგების, მოქალაქეების, პროკურატურის წარმომადგენლების, ექსპერტების, ადვოკატების, პროკურორების, სოციალური მუშაკების, მდივნების ან სხვა მომსახურე პერსონალის ან სასამართლო პოლიციის მოხელეების უპატივცემლობა ან უხეში დამოკიდებულება;
3. მოსამართლის ან მაგისტრატის მიერ განხილვაში მყოფ ნებისმიერი კატეგორიის საქმეზე, სასამართლო გადაწყვეტილების შედგენისათვის კანონით დადგენილი ვადების არასაპატიო მიზეზით და უსაფუძვლოდ დარღვევა;
4. არასაპატიო მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობა ზედიზედ 4 დღემდე;
5. სასამართლოს გენერალური საბჭოს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ეროვნული სასამართლოს და უმაღლესი სასამართლოს ან მმართველი პალატების მიერ უფლებამოსილების ფარგლებში გაცემული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

სიმძიმის მიხედვით გადაცდომათა კლასიფიკაციას აქვს, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ასევე, პროცესუალური მნიშვნელობა: მათზე მოქმედებს დევნის ხანდაზმულობის და სახდელის გაქარწყლების განსხვავებული ვადები, საქმეს აწარმოებენ სხვადასხვა ორგანოები სხვადასხვა პროცედურებით.

განსაკუთრებით მძიმე გადაცდომები ხანდაზმულია 2 წლის, მძიმე გადაცდომები 1 წლის შემდეგ, ხოლო მსუბუქ გადაცდომებზე მოქმედებს სისხლის სამართლის კოდექსში გადაცდომებისთვის გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადები.

2. დისციპლინური სახდელები

”სასამართლო ხელისუფლების შესახებ” ორგანული კანონის 420-ე მუხლის თანახმად, დისციპლინური სახდელებია:

- ა. გაფრთხილება;
- ბ. ჯარიმა 6000 ევრომდე ოდენობით;
- გ. იძულებითი მივლინება მინიმუმ 100 კმ-ით დაშორებულ სასამართლოში;

დ. უფლებამოსილების შეჩერება 3 წლამდე ვადით.

მოსამართლეს, რომელსაც დაეკისრა იძულებითი მივლინება არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სამოსამართლო თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში.

ჯარიმა და გაფრთხილება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მსუბუქ და მძიმე გადაცდომებზე, ხოლო უფლებამოსილების შეჩერება, იძულებითი მივლინება ან თანამდებობიდან გათავისუფლება – განსაკუთრებით მძიმე გადაცდომებზე.

2.1. დისციპლინური სახდელების დაკისრების უფლებამოსილება

დისციპლინური სახდელების დაკისრება სხვადასხვა ორგანოს კომპეტენციას შეადგენს, რაც სახდელის სიმძიმეზეა დამოკიდებული.

გაფრთხილების დაკისრების უფლება აქვთ სასამართლოების თავმჯდომარეებს შესაბამისი სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ.

მსუბუქ გადაცდომებზე ჯარიმის (ან გაფრთხილების და ჯარიმის) დაკისრების უფლება აქვთ შესაბამისი სასამართლოების პრეზიდიუმებს.

მძიმე გადაცდომებზე სახდელის დაკისრების უფლება აქვს სასამართლოს გენერალური საბჭოს სადისციპლინო კოლეგიას.

განსაკუთრებით მძიმე გადაცდომებზე სახდელის დაკისრების უფლება აქვს სასამართლოს გენერალური საბჭოს პლენუმს სადისციპლინო კოლეგიის წარდგინებით (მუხლი 621). თუმცა დისციპლინურ ორგანოს უფლება აქვს გამოიყენოს უფრო მსუბუქი სახდელი თუ საქმის გამოკვლევის დროს დაადგენს, რომ მიზანშეწონილია მსუბუქი სანქციის შეფარდება.

3. დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი (ძირითადი) ორგანოები

დისციპლინურ სამართალწარმოებას სხვადასხვა ორგანოები ახორციელებენ. ჩვენ მიმოვიხილავთ მხოლოდ იმ ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ დისციპლინურ წარმოებას მძიმე გადაცდომებზე. ესენია სასამართლოს გენერალური საბჭო, დისციპლინური საქმისმწარმოებელი და დისციპლინური კოლეგია.

ა. სასამართლოს გენერალური საბჭო

ესპანეთის სასამართლოს გენერალური საბჭო შეიქმნა კონსტიტუციით 1978 წელს ესპანეთის მეზობელი ქვეყნების (საფრანგეთის, იტალიის, პორტუგალიის) მაგალითის გათვალისწინებით.⁷ გენერალური საბჭო არის კონსტიტუციური ორგანო, რომელიც დამოუკიდებელია და არ ემორჩილება ხელისუფლების არცერთ სხვა შტოს.⁸

სასამართლოს გენერალური საბჭო შედგება 20 წევრისა და თავმჯდომარისგან. საბჭოს 12 წევრი არის მოსამართლე, ხოლო 8 – არამოსამართლე. საბჭოს მოსამართლე წევრებს მოსამართლეთა ასოციაციების ან სხვა საინიციატივო ჯგუფების წარდგინებით, ირჩევს პარლამენტის ორი პალატა – კონგრესი და სენატი (თითოეული ირჩევს 6-6 წევრს).⁹ საბჭოს 8 არამოსამართლე წევრს მეფის

⁷ General Council for the Judiciary in 25 questions;

⁸ იქვე;

⁹ იხილეთ სასამართლო ხელისუფლების შესახებ ორგანული კანონი, მუხლი 112;

წარდგინებით, 15-წლიანი გამოცდილების მქონე სამართლის სპეციალისტებისგან ირჩევს, ასევე, პარლამენტი (თითოეული პალატა ირჩევს 4 წევრს).¹⁰

სასამართლოს გენერალური საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც ამავდროულად არის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, სასამართლოს გენერალური საბჭოს წარდგინებით ნიშნავს მეფე (მუხლი 123).¹¹

სასამართლოს გენერალური საბჭო შედგება შემდეგი ორგანოებისგან:

- თავმჯდომარე;
- თავმჯდომარის მოადგილე;
- პლენუმი;
- მუდმივმოქმედი კოლეგია;
- სადისციპლინო კოლეგია;
- საკვალიფიკაციო კოლეგია;
- თანასწორობის კოლეგია (განიხილავს სასამართლო სისტემაში გენდერული თანასწორობის საკითხებს).

სასამართლოს გენერალური საბჭოს უმთავრესი ფუნქციას წარმოადგენს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, ასევე, მოსამართლეთა შერჩევა, დანიშვნა, დაწინაურება, დისციპლინური პასუხისმგებლობა, სასამართლოებისა და ტრიბუნალების ინსპექტირება, სასამართლოს საქმიანობის მარეგულირებელი აქტების გამოცემა და ა.შ. (მუხლი 107).

სასამართლოს გენერალური საბჭო დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობს 2 ორგანოს – სადისციპლინო კოლეგიის და პლენუმის მეშვეობით, გარდა ამისა, ის ირჩევს დისციპლინურ საქმისმწარმოებელს.

ბ. დისციპლინური საქმისმწარმოებელი

დისციპლინური საქმის წინასწარ გამოძიებას აწარმოებს დისციპლინური საქმისმწარმოებელი.

დისციპლინურ საქმისმწარმოებელს ირჩევს გენერალური საბჭოს პლენუმი იმ ვადით რა ვადითაც თავად არის არჩეული (მუხლი 606). ვაკანსიის არსებობისას, სასამართლოს გენერალური საბჭო აცხადებს კონკურსს უზენაესი სასამართლოს მაგისტრატებს და 25 წლის სამოსამართლო გამოცდილების მქონე მაგისტრატებს შორის. არჩევა ხდება ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. თუ ხმათა საჭირო რაოდენობა ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა, იმართება არჩევნების მეორე ტური და არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც დააგროვებს მეტ ხმას (მუხლი 606). დისციპლინური საქმისმწარმოებელი მისი არჩევის დღიდან ახორციელებს მხოლოდ შესაბამის უფლებამოსილებას და ის წყვეტს სამოსამართლო საქმიანობას. მისი თანამდებობიდან გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ მოვალეობათა მძიმე დარღვევის, ან უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას საბჭოს წევრების ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით (მუხლი 606). დისციპლინური საქმისმწარმოებლის მხარდაჭერას ახორციელებს მრჩეველთა აპარატი, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება საბჭოს რეგლამენტით. გამონაკლის შემთხვევებში, დისციპლინური საქმისმწარმოებელი უფლებამოსილია გამოძიების ცალკეული აქტების განხორციელება მოტივირებული განჩინებით დაავალოს მრჩეველს (მუხლი 608)

¹⁰ მუხლი 113;

¹¹ მუხლი 123;

დისციპლინური საქმისმწარმოებელი იღებს საჩივრებს მოსამართლეების საქმიანობასთან დაკავშირებით, უფლებამოსილია დაიწყოს წარმოება, გამოიძიოს შესაძლო დისციპლინური გადაცდომები და წარადგინოს ბრალდებები სადისციპლინო კოლეგიის წინაშე (მუხლი 605).

დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის ან დევნის შეწყვეტის თაობაზე დისციპლინური საქმისმწარმოებლის გადაწყვეტილება საჩივრდება საბჭოს მუდმივმოქმედ კოლეგიაში (მუხლი 608). თუ კოლეგია დააკმაყოფილებს საჩივარს, საქმისწარმოება გაგრძელდება ან დაწყებულად ითვლება. მუდმივმოქმედი კოლეგია, ასევე, უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით დაავალდებულოს დისციპლინური საქმისმწარმოებელი დაიწყოს ან გააგრძელოს დისციპლინური საქმისწარმოება.

გ. სადისციპლინო კოლეგია

მძიმე გადაცდომებს იხილავს და სახდელს აკისრებს სასამართლოს გენერალური საბჭოს სადისციპლინო კოლეგია. სადისციპლინო კოლეგიის წევრებს ირჩევს სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭოს პლენუმი 5 წლის ვადით. კოლეგია შედგება 4 მოსამართლე და 3 არამოსამართლე წევრისგან. მას თავმჯდომარეობს მოსამართლე წევრი, რომელსაც აქვს ყველაზე მაღალი რანგი და სამოსამართლო საქმიანობის ყველაზე მეტი გამოცდილება. კოლეგიის წევრის მიერ უფლებამოსილების განხორციელების დროებით შეუძლებლობისას, საბჭოს მუდმივმოქმედი კოლეგია მას ჩაანაცვლებს შესაბამისად საბჭოს სხვა მოსამართლე ან არამოსამართლე წევრით.

სადისციპლინო კოლეგია იხილავს მოსამართლეთა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე გადაცდომებს და უფლებამოსილია გამოიყენოს ნებისმიერი დისციპლინური სახდელი თანამდებობიდან გათავისუფლების გარდა. სადისციპლინო კოლეგია, ასევე, იხილავს საჩივრებს სხვა ორგანოების მიერ გამოყენებულ დისციპლინურ სახდელბთან დაკავშირებით.

4. დისციპლინური პროცესი

4.1. პროცესის მიმდინარეობა

გაფრთხილება შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ საქმეზე მოკლე მოკვლევის ჩატარების და მოსამართლის მოსმენის შემდეგ (მუხლი 422)

სხვა ტიპის სანქციები გამოიყენება შემდეგი პროცედურების დაცვით:

დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლება აქვთ: სასამართლოს თავმჯდომარეებს, სასამართლოების პრეზიდიუმებს, ასევე, სადისციპლინო კოლეგიას, როგორც საკუთარი ინიციატივით, ასევე, საჩივრის საფუძველზე. სამართალწარმოების დაწყების უფლება, ასევე, აქვს პროკურორს (მუხლი 423)

დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შემდეგ საქმე გადაეცემა დისციპლინურ საქმისმწარმოებელს. ის, ასევე, უფლებამოსილია მიიღოს საჩივრები მოსამართლეების საქმიანობასთან დაკავშირებით (მუხლი 605).

დისციპლინური საქმისმწარმოებელი აგროვებს მტკიცებულებებს, რომლებიც აუცილებელია გადაცდომის ელემენტების დასადგენად, შემდგომ აყალიბებს ბრალდებებს და გადასცემს მათ ბრალდებულ მოსამართლეს, რომელსაც უფლება აქვს 8 დღის ვადაში წარმოადგინოს შეპასუხება და მას დაურთოს საკუთარი მტკიცებულებები (მუხლი 425) პასუხის მიღების ან დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ საქმისმწარმოებელი აფასებს მტკიცებულებებს და ადგენს საბრალდებო დასკვნას, რომელშიც მითითებულია მოთხოვნილი სახდელი. აღნიშნული დასკვნა გადაეცემა ბრალდებულ

მოსამართლეს, რომელსაც უფლება აქვს 8 დღის ვადაში წარმოადგინოს შეპასუხება. შეპასუხების წარმოდგენის ან ამ ვადის გასვლის შემდეგ საქმისმწარმოებელი საქმის მასალებს უგზავნის იმ ორგანოს, რომლის გადაწყვეტილებით იქნა დაწყებული სამართალწარმოება (მუხლი 425). ეს ორგანო უფლებამოსილია საქმე დაუბრუნოს საქმისმწარმოებელს ახალი ფაქტების გამოძიების და ახალი ბრალდებების წარდგენის მოთხოვნით. დისციპლინური საქმის გამოძიება უნდა დასრულდეს 6 თვის ვადაში. გამონაკლის შემთხვევებში დისციპლინურ საქმისმწარმოებელს აქვს ამ ვადის გაგრძელების უფლება, თუმცა ყოველი 10 დღის გასვლის შემდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დამწყებ ორგანოს უნდა წარუდგინოს ანგარიში საქმის თაობაზე და იმ მიზეზებზე, რომლებიც ხელს უშლიან გამოძიების დასრულებას (მუხლი 425).

სადისციპლინო კოლეგიას, საკუთარი ინიციატივით ან დისციპლინური საქმისმწარმოებლის შუამდგომლობით, დისციპლინური საქმისმწარმოებლის, მოსამართლის და პროკურატურის მოსმენის შემდეგ, 5 დღის ვადაში შეუძლია გადაწყვიტოს მოსამართლისთვის 6 თვის ვადით უფლებამოსილების შეჩერების საკითხი, თუ სახეზეა განსაკუთრებით მძიმე დისციპლინური გადაცდომის ნიშნები. მოსამართლეს უფლება აქვს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს პლენუმში (მუხლი 625)

4.2. გასაჩივრება

დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე პრეზიდენტების და თავმჯდომარეების მიერ დაკისრებული გადაწყვეტილებები საჩივრდება სადისციპლინო კოლეგიაში, ხოლო ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებები საჩივრდება საბჭოს პლენუმში (მუხლი 604).

დისციპლინური სახდელი დაერთვება მოსამართლის პირად საქმეს.

4.3. დისციპლინური სახდელის გაქარწყლება

გაფრთხილება გაქარწყლებულად ითვლება მისი დაკისრებიდან 6 თვის, ხოლო სხვა სანქციები 1, 2 და 4 წლის შემდეგ გადაცდომის სიმძიმის შესაბამისად (მუხლი 427).